



სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 07 ნოემბრის განაჩენით, დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით (ეპიზოდი); 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ეპიზოდი); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ეპიზოდი); 25,147-ე მუხლის პირველი ნაწილით (ეპიზოდი); საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით (ეპიზოდი); 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ეპიზოდი); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ეპიზოდი) და 25,147-ე მუხლის პირველი ნაწილით (ეპიზოდი).

დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს

საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

აღნიშნულ საქმეში გამოიკვეთა საკითხები, რომელთა გაანალიზება ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციას:

- კანონიერების პრინციპი;
- დაუშვებელი მტკიცებულების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების აკრძალვა;
- დასაბუთებული გადაწყვეტილების (განაჩენის) უფლება.

ამ უფლებების კონსტიტუციური სტატუსი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის როლი საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში, განაპირობებს საკითხის მნიშვნელობას და მომეტებულ ყურადღებას. შესაბამისად, ვიყენებ რა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომავლი არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმართ.

კანონიერების პრინციპი

1. სასამართლოს განაჩენის¹ მიხედვით: განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზებასა და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციასთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის იქნა ცნობილი დამნაშავედ (და ეპიზოდები)².
2. განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზებასთან ერთად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პროფესიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ადამიანების დევნისთვისაც იქნა ცნობილი დამნაშავედ (და ეპიზოდები)³.

¹ დამნაშავედ იქნა ცნობილი 2011 წლის 15 ოქტომბერს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის, მისი განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნისთვის; ასევე, 2011 წლის 17 ოქტომბერს

განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის, მისი განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნისთვის.

² კონკრეტულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით; 25, 147-ე მუხლის პირველი ნაწილით და 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით. განაჩენის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება გამოიხატა მოხელის მიერ და განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზებასა და მათ მიმართ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში, რითაც შეიღწა და მირეული უფლებები და არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

³ კონკრეტულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 25, 147-ე მუხლის პირველი ნაწილით. განაჩენის თანახმად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ადამიანების დევნა პროფესიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოიხატა უკანონოდ დაკავებაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის „ლოგოიანი მაისურების დამზადების, ხოლო

- ამ მაისურების გავრცელების გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ დევნა განხორციელდა მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ხოლო დევნა დაკავშირებული

მართალია, სასამართლომ ზემოაღნიშნული მუხლებით დანიშნულ სასჯელთა შეკრების პრინციპი გამოიყენა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის ეპიზოდთა სიმრავლე მიუთითა. შესაბამისად, დანაშაულთა სიმრავლის ხელოვნურად შექმნამ შესაძლებელია პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების განხორციელებას შეუშალოს ხელი. აღსანიშნავია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელ გარემოებებს შორისაა მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და ჩადენილი დანაშაულის ხასიათი.⁴ აღნიშნულის გამო დანაშაულის სიმრავლე უარყოფით გავლენას იქონიებს პირობით ვადამდე საკითხის გადაწყვეტაზე.⁵

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის მოცემულ პუნქტში განმტკიცებულია სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, როგორცაა კანონიერების პრინციპი (*nullum crimen sine lege*)“⁶; მოცემული ნორმა „განამტკიცებს პირის ქმედობის სამართალდარღვევად განსაზღვრისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესების კონსტიტუციურ სტანდარტებს. [...] ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, იგი კავშირშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და წარმოადგენს ამ უფლებით დაცული სფეროს ნაწილს. [...] დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენა. [...] ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლეო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა.“⁷

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-7 მუხლით⁸ გარანტირებულია კანონიერების პრინციპი („არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“).

იყო მის პოლიტიკურ შეხედულებასთან. განაჩენის თანახმად, განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზების გამოიხატა ზემოაღნიშნული პირების დაკავების და გამოძიების დაწყების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად პოლიტიკური ნიშნით დევნის და პოლიტიკური პარტიის „⁶ თანამშრომლობის გამო უკანონოდ დაკავების ბრძანების გაცემაში. განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზების მოტივად სასამართლო მიუთითებს „პოლიტიკურად ანგაჟირებულ სუბიექტურ მოტივზე“.

⁴ საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁵ ასევე, არ არის გამორიცხული, რომ პირისთვის დანაშაულთა ერთობლიობის დადგენამ ხელი შეუშალოს მის მიმართ შეწყალების აქტის ან ამნისტიის კანონის გამოყენებას და პირის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებას. ისევე როგორც ამნისტიის კანონის გამოცემის შემთხვევაში ან დეკრძალულობის (რაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში ხშირი შემთხვევაა), შეიძლება პირის ქმედება კვლავ კრმინალიზებული იქნას მიჩნეული 1 ქმედების ორი მუხლით მსჯავრდების შემთხვევაში.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები: ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

⁸ „1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით⁹, მოცემული მუხლი ადგენს ზოგადად, პრინციპს, რომ მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დანაშაულს და აწესებს სასჯელს. სისხლის სამართალი არ უნდა განიმარტოს ფართოდ ბრალდებულის საზიანოდ.

საქართველოს უზენაესი კანონის დებულებათა შესაბამისად, კანონმდებლობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად ასახელებს დანაშაულს, ე. ი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული მუხლების ქმედების შემადგენლობების განსაზღვრა თვითნებობისგან პირის დაცვას ისახავს მიზანად. ამიტომ, კანონიერების პრინციპის თანახმად, დაუშვებელია კანონით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობისგან განსხვავებული ქმედებისთვის დასჯა და პასუხისმგებლობის ხელოვნურად დამძიმება.

კანონიერების კონსტიტუციური პრინციპი აისახა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში: „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით¹¹ გათვალისწინებული დანაშაულთა რეალური და იდეალური (ფორმალური, ლოგიკური) ერთობლიობისგან განსხვავებით მოცემული მუხლის მე-2 ნაწილი კანონის კონკურენციას მოიცავს¹², რაც იურიდიულ ლიტერატურაში „მოჩვენებითი ერთობლიობის“¹³ სახელწოდებით არის ცნობილი, რადგან ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციას დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს/გამოირიცხება. მოჩვენებითი ერთობლიობის შემთხვევაში „საკონკურენციო კანონების ერთობლივად გამოყენება დაუშვებელია“ და კვალიფიკაცია იმ ერთადერთი მუხლით უნდა განხორციელდეს, რომელიც

მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს. 2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებას და დასჯას რომელიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.“

⁹ „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი.

¹¹ „დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს.“

¹² ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ 2008 წ. გვ. 140, ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ (2013 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით). გვ. 225

¹³ იურიდიულ ლიტერატურაში დასახლებულია მაგალითები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება) და 143-ე (თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა) მუხლები; 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 110-ე (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით) მუხლები; ასევე, 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 335-ე მუხლი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება). იხ. ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ 2008 წ. გვ. 140, ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ (2013 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით). გვ. 225, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.“ ავტორთა კოლეგია, რედაქტორები: გურამ ნაჭყეზია, ირაკლი დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007 წ. გვ. 342

სრულად, ზუსტად და ამომწურავად შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს.¹⁴ დანაშაულის კვალიფიკაცია საკონკურენციო კანონების ერთობლიობით გამოიწვევს დანაშაულის სიმრავლის ხელოვნურად შექმნას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებელ დამძიმებას.¹⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პირის ქმედებაში ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კვალიფიკაციისას ზოგადი ნორმით (კოდექსის 332-ე მუხლი) კვალიფიკაციის საჭიროება არ არსებობდა.¹⁶ მიმართ გამოტანილ განაჩენში შეიძლება ადგილი აქვს ერთი და იმავე ქმედებისთვის დანაშაულთა სიმრავლის ხელოვნურად შექმნის შემთხვევას:

1. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით, 25, 147-ე მუხლის პირველი ნაწილით როგორც ეპიზოდში ცალ-ცალკე განაჩენის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტება გამოიხატა და განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზებასა და მათი ბრალდების განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიის საქმეებზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში.

მოსამართლემ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი თითოეულ ეპიზოდში (ცალ-ცალკე) გამოიტანა ზოგადი და სპეციალური მუხლების ერთობლიობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი სამოხელეო დანაშაულთა თავით გათვალისწინებულ ზოგად ნორმას წარმოადგენს. უკანონო დაკავება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სპეციალური სახეა (შემადგენლობა) და მათი კვალიფიკაციის საკითხი ნორმათა კონკურენციის საფუძველზე წყდება.¹⁷ მოხელის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაცია სამოხელეო დანაშაულის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და კვალიფიკაცია ნორმათა კონკურენციიდან გამომდინარე ხდება.¹⁸ ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი დროში და სივრცეში თანმხვედრი ფაქტობრივი გარემოებების, როგორც ასევე, ეპიზოდში (ცალ-ცალკე), ზოგადი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი) და

¹⁴ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.“ ავტორთა კოლეგია, რედაქტორები: გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2007 წ. გვ. 340-342, ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი. „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები.“ გვ.390

¹⁵ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ ავტორთა კოლეგია რედაქტორები: გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2007 წ. გვ.341

¹⁶ „საკასაციო პალატის ზოგიერთი განმარტება სისხლის სამართლის საქმეებზე“ საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2011 წ. გვ. 30-31

¹⁷ შხია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნინო გვენეტაძე, ნონა თოდუა, დავით მუმლაძე „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.“ წიგნი მე-2. მე-3 გამოცემა, 2009 წ. გვ.148

¹⁸ შხია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნინო გვენეტაძე, ნონა თოდუა, დავით მუმლაძე „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.“ წიგნი მე-2. მე-3 გამოცემა, 2009 წ. გვ. 279

სპეციალური მუხლების (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 147-ე და 369¹ მუხლები) ერთობლიობით კვალიფიკაცია ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს.

2. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 147-ე მუხლის პირველი ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით როგორც ეპიზოდში (ცალ-ცალკე). განაჩენის თანახმად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ადამიანის დევნა პროფესიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოიხატა უკანონოდ დაკავებაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის „ლოგოიანი მაისურების დამზადების, ხოლო - ამ მაისურების გავრცელების გამო, ამასთან, სასამართლო განაჩენში უკანონო დაკავების ორგანიზების მოტივად პოლიტიკურ მოტივს ასახელებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი წარმოადგენს თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გარანტს. იურიდიულ ლიტერატურაში დევნის ობიექტური შემადგენლობის სხვადასხვა გზით განხორციელების შესაძლებლობის შესახებ არის მითითებული, მათ შორის, სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმით, მეცნიერულ მოღვაწეობაში დაბრკოლების შექმნით და სხვ.¹⁹ მოცემული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა მოქმედებით ხორციელდება. ამასთან, სპეციალური სუბიექტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით (უდანაშაულო პირის მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში) გათვალისწინებული შემადგენლობით პირის დევნის შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება არა იმავე კოდექსის 156-ე მუხლით, არამედ სპეციალური მუხლით (146-ე მუხლი).²⁰ შესაბამისად, თუ დევნა გამოიხატა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა, დანაშაულთა ერთობლიობა გამოირიცხება. ამასთან, დევნის მაკვალიფიცირებელ გარემოებას - „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას“ თავისთავად მოიცავს უკანონო დაკავების ორგანიზება, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტი სპეციალურია: სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, რომელიც იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას.²¹ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ²² ერთ-ერთ საქმეში უცვლელად დატოვა საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა აზრის, საზოგადოებრივ და პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით). სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ გამოვლენილი აგრესიის მოტივი სწორედ დაზარალებულის საქმიანობა გახდა. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის დადგენის მიუხედავად, ქმედების კვალიფიკაცია არ მომხდარა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ მხოლოდ ერთი ნორმით. აქედან გამომდინარე, უნდა

¹⁹ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011 წ. გვ.296

²⁰ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011 წ. გვ.296

²¹ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011 წ. გვ.270

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №338აპ-15) გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

დავასკვნათ, რომ დევნა ძალადობის გამოყენებით მოიცავდა ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. აღსანიშნავია, რომ დევნა და განზრახ უკანონო დაკავება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავშია (ადამიანის უფლებების და თავისუფლებების წინააღმდეგ დანაშაულები) გათვალისწინებული და ორივე დანაშაულის ხელყოფის ობიექტს ადამიანის უფლებები წარმოადგენს. რაც შეეხება მოტივს, მართალია, განზრახ უკანონო დაკავების მოტივი კვალიფიკაციისთვის არ არის გადამწყვეტი, თუმცა სუბიექტური შემადგელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სასამართლომ განაჩენში განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზების პოლიტიკური მოტივი მიუთითა და დევნა პროფესიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით განხორციელებულად მიიჩნია.

სასამართლოს მიერ დადგენილი დროსა და სივრცეში თანმხვედრი ფაქტობრივი გარემოებები როგორც ასევე, ეპიზოდში (ცალ-ცალკე) დაკვალიფიცირებულია ერთობლიობით: განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზება პოლიტიკური მოტივით და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პროფესიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნა, რომელიც დაკავებაში გამოიხატა. შესაბამისად, ერთი და იმავე ქმედების 2 სხვადასხვა მუხლით შეფასებით ადგილი აქვს დანაშაულთა სიმრავლის ხელოვნურად შექმნას.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით:) დამნაშავედ ცნობით ზოგადი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი) და სპეციალური (25, 147-ე და 369¹⁾) მუხლებით; ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 147-ე მუხლის პირველი ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით) და ეპიზოდებში (ცალ-ცალკე) შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ერთი ქმედების რამდენიმე მუხლით შეფასებას, დანაშაულთა სიმრავლის ხელოვნურად შექმნას და პასუხისმგებლობის ხელოვნურად გაზრდას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ გარანტირებულ კანონიერების პრინციპს.

დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნულია: „სასამართლო არ გამოირიცხავს, რომ სწორედ ბრალდებული იყო მოტივირებული ზეგავლენა მოეხდინა მოწმეზე, რასაც მოწმობს მცდელობა პირადი კომუნიკაციის გზით გავლენა მოახდინოს ბრალდების მოწმეზე. 2015 წლის 02 დეკემბერს ბრალდებულმა ფარულად უკანონოდ „)“ ოფისში ჩაწერა მოწმე , სასამართლომ ეს უკანონო ჩანაწერი არ დაუშვა როგორც მტკიცებულება.“ მართალია, სასამართლოს მიერ დაუშვებელად მიჩნეული ზემოაღნიშნული მტკიცებულების გარდა, ბრალდებულის მოწმეზე ზეგავლენის საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდის დასადასტურებლად განაჩენში მითითებულია სხვა მტკიცებულებაც (მოწმე) ჩვენებით, ბრალდებული და მოწმე სხვა დროსაც შეხვდნენ ერთმანეთს) და გარემოებებიც (ბრალდებულის შეხვედრაზე მოწმეებთან: და და მეშვეობით შეხვედრის

მცდელობაზე)²³, თუმცა დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვის იმპერატიული ხასიათი.²⁴

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე თვითონ არ დაუშვა მტკიცებულება და ამორიცხა მტკიცებულებებიდან და ამავდროულად გამოიყენა ბრალდებულის ქმედების შესახებ გამოთქმული ეჭვის დასადასტურებლად მის საუარესოდ.

გასათვალისწინებელია, რომ კანონი არსებითი განხილვის ეტაპზე მხარის მიერ ახალი მტკიცებულების წარდგენის²⁵ თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობის საგამონაკლისო წესს ითვალისწინებს. ამასთან, სასამართლო წყვეტს წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების დაშვება-არდაშვების საკითხს. ხოლო არსებითი განხილვის ეტაპზე მხარის მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების სასამართლოს მიერ არდაშვების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გამოყენება და გამამტყუნებელ განაჩენში გათვალისწინება დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ ასევე, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, კანონი ადგენს სასამართლოს განაჩენის კანონიერების და დასაბუთებულობის ვალდებულებას²⁶.

განაჩენი კანონიერია, თუ გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის და კანონების მოთხოვნათა დაცვით²⁷; ხოლო განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ ... მტკიცებულებათა ერთობლიობას.²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განაჩენის „ლეგიტიმურობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოყენებული მტკიცებულებების დასაშვებობასა და სარწმუნოობაზე.“²⁹ დასაშვებობა მტკიცებულების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.³⁰

მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არაორაზროვან და ცალსახა დათქმას აკეთებს: „დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება

²³ იხ. განაჩენი, გვ.27

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი: „საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.“ იმავე მუხლის მე-4 ნაწილი: მე-4 ნაწილი: „წარდგენილი დამატებითი მტკიცებულების საქმეზე დაშვების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა, თუ მხარეს დაცვის ან ბრალდების პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება.“

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.³¹ გამამტყუნებელ განაჩენში გამოთქმული ვარაუდის („სასამართლო არ გამოიციხავს, რომ სწორედ ბრალდებული იყო მოტივირებული ზეგავლენა მოეხდინა მოწმეზე“) დასადასტურებლად მითითებულია მტკიცებულება, რომელიც განაჩენის თანახმად, სასამართლოს მიერ არ იქნა დაშვებული. ამდენად, სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების განაჩენში გამოყენება (მითუმეტეს, ბრალდებულის საწინააღმდეგოდ) არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იმპერატიულად დადგენილ დანაწესს განაჩენის მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე და შესაბამისად, დაუშვებელი მტკიცებულების საფუძველზე განაჩენის გამოტანის დაუშვებლობის შესახებ.

დასაბუთებული განაჩენის უფლება

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ მსჯელობისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებზე. აღნიშნული მიდგომების განხილვა მნიშვნელოვანია მოწმე პოლიციელთა ჩვენების სანდოობის, მოწმეზე სავარაუდო ზეწოლის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის ჩვენების, ასევე, დაცვის მხარის მიერ მითითებულ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების შეფასების საკითხთან დაკავშირებით განაჩენის დასაბუთების თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით³² აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება „ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს.“³³ მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს „სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, როგორც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში.“³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით³⁵, ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი სიცხადით უნდა წარმოადგინონ ის დასაბუთება, რომელსაც ეფუძნება განაჩენი, მსჯელობა დააფუძნონ ობიექტურ არგუმენტებზე და განაჩენიდან უნდა იყოს ცხადი, რომ საქმის ყველა არსებით საკითხს პასუხი გაეცა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.“ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.³⁶ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

³² „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

³⁵ იხ. გადაწყვეტილება საქმეზე: „Taxquet v. Belgium“ პარ. 90 და 91.

³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი.

შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.³⁷

პოლიციელების ჩვენებები

გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი „ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას საჩივრებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები.“³⁸ აღნიშნული სტანდარტი „არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს.“³⁹ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა შეიცავდეს⁴⁰ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, მტკიცებულების მითითებით, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, მტკიცებულების გაზიარების და უარყოფის მოტივის დასაბუთებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალის დასაბუთებისას მხოლოდ ის მტკიცებულებები უნდა იქნეს გამოყენებული, რომელთაც უტყუარად მიიჩნევს და რომელთა სანდოობასა და ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.⁴¹ ამდენად, განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მტკიცებულებების (მათ შორის, მოწმეთა ჩვენების) შეფასებისას მათი სანდოობის და სარწმუნოების თაობაზე მსჯელობა და მტკიცებულებების გაზიარების ან უარყოფის დასაბუთება.

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გამოყენება პოლიციელი მოწმეების (^{42,} ^{43,} ^{44,} ^{45,} ^{46,} ⁴⁷

ბრალდებულის მსგავსად, იმავე ფაქტებზე, 2014 წელს წარედგინათ ბრალდება და მოგვიანებით, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა) ჩვენებების შეფასებისას. პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.)

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი), 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი) და 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით;

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი) და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი);

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით;

⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი) და და 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით (2 ეპიზოდი).

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369¹ მუხლის მე-3 ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ზემოაღნიშნული პირების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობასა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხზე, ასევე, დაცვის მხარის შესაძლებლობაზე მათთვის დაესვა შეკითხვები.

„მოწმის მიერ ხელშეუხებლობის, ან სხვა უპირატესობებით სარგებლობის სანაცვლოდ მიცემული ... ჩვენებების გამოყენებამ შეიძლება ბრალდებულის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა დააყენოს ეჭვქვეშ, რადგანაც ასეთი მტკიცებულებების ხასიათიდან გამომდინარე ადვილად შესაძლებელია ჩვენებებით მანიპულირება და პირმა ჩვენება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნით მისცეს, რომ სანაცვლოდ შეთავაზებული უპირატესობებით ისარგებლოს, ან პირადი შურისძიების გამო. ... ასეთი ჩვენებების გამოყენება თავისთავად არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ სამართალწარმოების პროცესი უსამართლოდ იქნას მიჩნეული.“⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ⁴⁹ ინფორმაციის სანდოობის ან სარწმუნოების შესაფასებლად სასამართლოს შესაძლებლობა შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისსამართლებრივ საქმეს უკავშირდება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე: „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით მიუთითა, რომ შიდა სასამართლოსთვის მისაღები გახდა პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა საკმარისი დამაჯერებელი განმარტებების გარეშე იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მათი ჩვენებები, შესაძლოა, ყოფილიყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა მათი მხრიდან მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ვინაიდან გამოძიებას უნდა დაედგინა, უნდა დაკისრებოდათ თუ არა პოლიციელებს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის ბრალდებების საფუძველზე. ანალოგიურად, მტკიცებულებათა შეფასებისადმი არასწორ მიდგომაზე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“: აშკარაა, რომ შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებები ძირითადად ეფუძნება ინციდენტში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებს და ამასთანავე, სასამართლოებმა ყოველგვარი დამაჯერებელი არგუმენტების გარეშე მიიღეს მხედველობაში პოლიციელთა ჩვენებები, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აღნიშნული ჩვენებები შესაძლოა იყო სუბიექტური და მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არიდებას. პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა ასევე უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ვინაიდან გამოძიებას უნდა დაედგინა მათი დისციპლინური თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: „Cornelis v. the Netherlands“ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის და სასამართლოს მიერ ჩვენების საიმედოობის და დამაჯერებლობის შემოწმების მიზნით იმ მოწმის ინტენსიური დაკითხვის ფაქტზე, რომლის პროკურატურასთან გაფორმებული შეთანხმებით მიღებული ჩვენება განმცხადებლის საწინააღმდეგო მტკიცებულებად

⁴⁸სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო. 2014 წ. გვ. 82-83

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

იქნა გამოყენებული, ასევე, შეთანხმების ყველა გარემოების დეტალურად და გულდასმით განხილვაზე. საქმეზე: „X v. the United Kingdom“ სასამართლოს განმარტებით, პროცესის სამართლიანობა შესაძლებელია ექვექცეშ დადგეს ბრალდებულის თანამონაწილისაგან მიღებული მტკიცებულების გამოყენებით, რის სანაცვლოდაც აღნიშნული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. სასამართლომ იმსჯელა არა მხოლოდ დაცვის მხარის და სასამართლოს (ნაფიცი მსაჯულები) მიერ მტკიცებულების მოპოვების დიად განხილვის საკითხზე, არამედ იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ შეისწავლა, რამდენად სათანადოდ გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოებები მტკიცებულების შეფასებისას და გაამყარეს დამატებითი ფაქტებით. სამართალწარმოების მთლიანობაში სამართლიანობაზე მსჯელობისას სხვა საკითხებთან ერთად „სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, იქონია თუ არა კონკრეტულმა მტკიცებულებამ გადამწყვეტი ზეგავლენა სისხლის სამართალწარმოების შედეგზე (Gäfgen v. Germany).“⁵⁰ საქმეზე: „Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom“ სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან კონკრეტული მოწმის ჩვენება აშკარად გადამწყვეტი მტკიცებულება იყო, რომლის გარეშეც ბრალდება გაბათილდებოდა. მოცემულ საქმეში განმცხადებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა თ-ს ჩვენების ნამდვილობა და სანდოობა ჯვარედინი დაკითხვით. ძლიერი გამაბათილებელი მტკიცებულების არარსებობის პირობებში თ-ს ჩვენების მეტწილი ბუნება ნიშნავდა იმას, რომ ნაფიც მსაჯულები მოკლებული იყვნენ თ -ს ჩვენების სამართლიანად და სათანადოდ შეფასების შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე: „Bykov v. Russia“ სამართალწარმოების მთლიანობაში სამართლიანობის საკითხის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია დაცვის უფლებების განხორციელების შესაძლებლობა - უნდა შემოწმდეს, მიეცა თუ არა განმცხადებელს მტკიცებულებების ავთენტურობის გაპროტესტებისა და მათი გამოყენების გაპროტესტების საშუალება. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ექვის ქვეშ მათ საიმედოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომლებშიც მათი მოპოვება მოხდა. საყურადღებოა, რომ მოცემულ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო მტკიცებულება (ჩანაწერი ფარული ოპერაციის გზით მოპოვებულ ნივთმტკიცებებთან ერთად) არ წარმოადგენდა იმ ერთადერთ მტკიცებულებას, რომელსაც ეროვნული სასამართლოები ეყრდნობოდნენ, როგორც განმცხადებლისთვის ბრალის წაყენების საფუძველს და გამყარებული იყო სხვა უტყუარი მტკიცებულებებით (მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჩვენებებით), ამასთან, შეფასების განხორციელებისას ეროვნული სასამართლოები პირდაპირ არ დაეყრდნენ ჩანაწერს ან მის სტენოგრამას შეზღუდული როლი ითამაშა სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებების კომპლექსურ ერთობლიობაში. საქმეზე: „Ochelkov v. Russia“ სასამართლო დაეთანხმა განმცხადებლის მოსაზრებას, რომ პოლიციელების განცხადებები უმნიშვნელოა, რადგან არაა გამყარებული არანაირი მტკიცებულებით. საქმეზე: „Virabyan v. Armenia“ სასამართლომ გამოძიების ფუნდამენტურ ხარვეზად ჩათვალა დასკვნის გაკეთება, რომელიც მხოლოდ პოლიციელების განცხადებებს ეფუძვებოდა და რომლებიც არ იყვნენ მიუკერძოებელი მოწმეები, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სხვა ინფორმაცია არ მოპოვებულა.

⁵⁰სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო. 2014 წ. გვ. 39-40

მოწმე პოლიციელთა ჩვენების სანდოობისა და უტყუარობის თვალსაზრისით შეფასებისას მნიშვნელოვანია მსჯელობა განრიდების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ: ნასამართლობას და დამნაშავედ ცნობას იწვევს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენი.⁵¹ ნასამართლევად პირი ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.⁵² განრიდების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული იქნეს დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის გადაწყვეტილება⁵³, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში მიუხედავად დევნის შეწყვეტის საფუძვლისა (მარეაბილიტირებულია თუ არა) არ ხდება პირის დამნაშავედ ცნობა, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არ იწვევს ნასამართლობას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძვლზე მოწმისთვის მინიჭებული პრივილეგიის შემთხვევაში ასეთი ჩვენების შემოწმებისა და შეფასებისთვის ბრალდებულის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლევა, და მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია სასამართლომ წარმოადგინოს სათანადო დასაბუთება მოწმის ჩვენების სანდოობის და უტყუარობის თვალსაზრისით გაზიარების დასაბუთების შესახებ, მათ შორის, წარმოადგინოს არგუმენტირებული მსჯელობა სხვა მტკიცებულებებთან მისი მიმართების საკითხთან დაკავშირებით, მტკიცებულების გადამწყვეტი მნიშვნელობის არსებობა/არარსებობის მითითებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განაჩენში მოწმეთა ჩვენებების გაზიარების ან უარყოფის არგუმენტაციის არსებობას როგორც თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებით, ასევე, მტკიცებულებათა ერთობლიობით სანდოობის და უტყუარობის არა ზოგად მითითებას, არამედ შესაბამის დამაჯერებელ მსჯელობას დასაბუთებული განაჩენის სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველის დაკითხვა

საყურადღებოა სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის ჩვენების უარყოფის საკითხი. განაჩენის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოწმის სახით დაკითხვა საქართველოს სახალხო დამცველი, რომელმაც განმარტა მოწმე შეხვედრისას მიღებული ინფორმაცია მოწმეზე შესაძლო ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველს არ მიუძღრთავს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ზეწოლის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და გამოვლენის მიზნით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახალხო დამცველის მიერ მიცემული ჩვენება არ წარმოშობდა ეჭვს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან მოწმეზე ზეწოლის საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია არ გაამჟღავნოს პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე, – მისი წამებისა

⁵¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹ მუხლის პირველი ნაწილი.

და მის მიმართ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ინფორმაცია. მოცემული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას პირის თანხმობის გარეშე მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს მოცემული პირის მიმართ განხორციელებული სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტზე. შესაბამისად, ვინაიდან მიერ არ იყო გაცემული თანხმობა, სახალხო დამცველი არ იყო უფლებამოსილი მიემართა საგამოძიებო სტრუქტურისთვის შემდგომი გამოძიების წარმოების მიზნით. საქართველოს სახალხო დამცველის ჩვენების შეფასებისას აუცილებელი იყო „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული დანაწესის განხილვა მტკიცებულების შეფასების (გაზიარება/უარყოფა) დასასაბუთებუთებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: „Romanov v. Russia“ აღნიშნა, თანაბრალდებულების მიერ ბრალის აღიარების შესახებ გაკეთებული განცხადებები (რომელიც უარყვეს სასამართლოში საქმის გადაცემის შემდეგ გამომძიებლის მხრიდან იძულებაზე მითითებით) მტკიცებულებად არ უნდა ყოფილიყო მიღებული განმცხადებლის პროცესზე, რადგან მათ არ გააჩნდათ ისეთი მტკიცებულებითი ღირებულება, რაც საკმარისი იქნებოდა განმცხადებლის დანაშაუდზე ცნობისათვის. განცხადება ბრალის აღიარების შესახებ დასაშვებია მხოლოდ ამ თანაბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის დასადასტურებლად, ვინაიდან მის მიერ ბრალის აღიარება თავისთავად არ ამტკიცებს, რომ განმცხადებელიც გარეული იყო დანაშაულში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაიწყებოდა გამოძიება, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ტარდება დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების მიზნით⁵⁴ და საბოლოო ჯამში კონკრეტული პირის/პირების ბრალდების და მართალმსაჯულების განხორციელებისკენ არის მიმართული. ხოლო მოწმის ჩვენების სანდოობის და უტყუარობის შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მოწმის მიმართ სავარაუდო ზეწოლის, თავისუფალი ნების დათრგუნვის თაობაზე მიუთითებს. გამოძიების არდაწყება არც ადასტურებს და არც უარყოფს საქართველოს სახალხო დამცველის ჩვენებას მოწმეზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტის შესახებ. შესაბამისად, მოწმის ჩვენების სანდოობის და უტყუარობის თაობაზე ეჭვის არსებობისას, აუცილებელია, მტკიცებულების გაზიარების მყარი და არაორაზროვანი არგუმენტების წარმოდგენა.

დაცვის მხარის მიერ მითითებული ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების შეფასება

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას ურთიერთდაპირისპირებულ მტკიცებულებათა არსებობის პირობებში აუცილებელია მტკიცებულების გაზიარების/უარყოფის საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთების წარმოდგენა. სასამართლომ ნედლი და გამომშრალი მარიხუანის კონსისტენციისა და დრეკადობის განსხვავების მითითების მიუხედავად დაადგინა, რომ ობიექტურად გამორიცხულია 24,5 გრამი ნედლი მარიხუანა ჩატეულიყო იმ ფურცლებში, რომელიც ფიგურირებს ჩხრეკაში და დაკავებაში მონაწილე პოლიციელთა ჩვენებებში და მოცემული ფაქტის დადგენისას სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულების - ექსპერტის

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილი.

ჩვენებაზე (2011 წელს მას წარედგინა ნედლი მარიხუანა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ აუცილებლად გახმებოდა, ასევე, დაადასტურა ნედლი მარიხუანის კუმშვადობის თვისება) და არც მოცემული მტკიცებულების გაუზიარებლობის მოტივი დაასაბუთა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ექსპერტი (ქიმიკოსი) მოწმეებისგან განსხვავებით სპეციალური ცოდნის მქონე პირია.

„მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს განაჩენის დადგომისთვის უალტერნატივო საშუალებას. სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით.“⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამოდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას.⁵⁶ საქმეზე: „Gradinar v. Moldova“ სასამართლოს განმარტებით, პირის მსჯავრდება საკმარისი საფუძვლების გარეშე არღვევს სასამართლიანი სასამართლოს უფლებას. სასამართლოსთვის აუხსნელია ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებაში სხვა საკითხებთან ერთად ადვოკატების მიერ მითითებული კანონდარღვევების შესახებ არაფრის თქმა. საქმეზე: „Boldea v. Romania“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ეროვნული სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ბრალდების არგუმენტების დამაკმაყოფილებლობის მტკიცებით, არ განმარტა კანონდარღვევის ყველა დეტალი და არ გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც შეეძლო განმცხადებლის გამართლება.

მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების დასაბუთებისთვის მნიშვნელოვანია მოწმეთა ჩვენებების ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათის თაობაზე დაცვის მხარის მიერ დასკვნით სიტყვაში⁵⁷ მითითებულ გარემოებებზე დამაჯერებელი არგუმენტების განაჩენში წარმოდგენის საკითხიც.

⁵⁵საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁶ „El-Masri v. The Former Yugoslav Republic of Macedonia, პარ. 151, „Hassan v The UK“ პარ. 48

⁵⁷დაცვის მხარი მიუთითებდა შემდეგ საკითხებზე: დაზარალებულის, ჩვენების პოლიციელების: და ჩვენებებთან (ჩხრეკისას დაკრული ქაღალდის ამოღების არსებობა/არარსებობის ფაქტი) ჩვენებებთან ურთიერთწინააღმდეგობის, ასევე, მისი ჩვენების ჩვენებასა და წერილობით მტკიცებულებებთან (პოლიციის განყოფილებაში დამკითხავი პირის ვინაობის და დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვედრილი პოლიციელების ვინაობის თაობაზე) ურთიერთწინააღმდეგობაზე; ასევე, გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში მიცემული ჩვენების ურთიერთწინააღმდეგობაზე (პოლიციის განყოფილებაში მუქარის განმახორციელებელი პირის ვინაობის თაობაზე); დაზარალებულის ჩვენების წინააღმდეგობაზე პოლიციელების: და ჩვენებებთან (მაისურის გახდის და სისხლისანი მაისურის ჩაცმის თაობაზე); ასევე, გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში მიცემული ჩვენებების ურთიერთწინააღმდეგო ხასიათზე პირველი დაკითხვის, დაკავების ადგილზე ყოფნის, პატაკის შემდგენი პირის, უდანაშაულობა/დამნაშავეობის ცოდნის საკითხზე).

საქმეზე: „Perry v. the United Kingdom“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია სადავო მტკიცებულებების დასაშვებობისა და საიმედოობის შემოწმების პროცედურის სამართლიანობის დადგენა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ⁵⁸ ჩამოაყალიბა მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების კრიტერიუმები: 1. შეიცავს თუ არა თითოეული მტკიცებულება (მათ შორის, მოწმის ჩვენება) შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება. სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია; ამასთან, მიუთითა განაჩენის გამოტანის დროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად თითოეული მტკიცებულების უტყუარობის და დამაჯერებლობის შეფასების აუცილებლობასა და სავალდებულებაზე. მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ასახული ზედაპირული მსჯელობა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობების არაარსებით ხასიათზე არ არის არგუმენტებული, ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს და არ პასუხობს კანონის მოთხოვნას მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების სავალდებულობის შესახებ. ამავე საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობების ფონზე, ფაქტი არ დასტურდება სხვა უტყუარი მტკიცებულებით, კონკრეტულ მოცემულობაში, ნეიტრალური და საქმის შედეგებით დაუინტერესებელი მოწმის ჩვენება მაღალი ალბათობით პასუხს გასცემდა არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დარჩენილ ბუნდოვან გარემოებებსა და კითხვებს.

ამდენად, სასამართლომ დაცვის მხარის მიერ მითითებულ საკითხზე - მოწმეთა ჩვენებების ურთიერთწინააღმდეგობის თაობაზე გასცეს ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული დამაჯერებელი პასუხი როგორც ცალკეული მტკიცებულების, ასევე მათი ერთობლიობით შეფასებისას უტყუარობის თვალსაზრისით, რომელიც შესაბამისობას იქნება ადამიანის უფლებათა ზემოხსენებულ სტანდარტებთან.

დასკვნა

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმართ გამოტანილი განაჩენით შესაძლოა, ადგილი აქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლებით, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 და მე-7 მუხლებით და საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა საწინააღმდეგოდ დანაშაულის სიმრავლეთა ხელოვნურად შექმნას და

⁵⁸იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე N397აპ-14). გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

პასუხისმგებლობის დამძიმებას, დაუშვებელი მტკიცებულების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენებას და მტკიცებულებათა შეფასების თვალსაზრისით დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგინოს დასაბუთებული პოზიცია განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამო მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5- 